სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-66

გორი 20 12 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმები დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მექანიზმი

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში -უნივერსიტეტი) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება ყოველწლიურად, მომდევნო აკადემიური წლისათვის.
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვასა და სათანადო სამიზნე ნიშნულის დადგენას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი.
4. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ეფუძნება შემდეგი პარამეტრების მნიშვნელობებს:
   - აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა;
   - დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა;
   - მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა;
   - უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში პროგრამაზე შემოსული (მობილობა, სტუდენტის სტატუსის აღდგენა) და პროგრამიდან გასული (სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა, მობილობა) სტუდენტების რაოდენობები.
5. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა გულისხმობს აგრეთვე შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებას:
   - საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასთან, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებს;
   - საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფის მდგომარეობას, პროგრამის ფინანსურ მდგრადობას;
   - საგანმანათლებლო სივრცეში გამოკვეთილ ტენდენციებს და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და სოციალურ პასუხისმგებლობებს.

- საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა საერთო კონტინგენტი არ უნდა აღემატებოდეს უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციით განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობას.

6. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფარდება პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან არ უნდა იყოს 1/40-ზე ნაკლები, ამასთანავე, მინიმუმ ორი პროფესორის/ასოცირებული პროფესორის კვალიფიკაცია ან კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას.
7. საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის ვერმიღწევის შემთხვევაში პროგრამაზე შესაძლებელია გამოცხადდეს მობილობა არსებული ვაკანსიების ფარგლებში.
8. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.